ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №63

24 თებერვალი 2014 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
4 ერთეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის
ნაკვეთის საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ჩოხატაურის, ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19^1 მუხლის მე–10 პუნქტის და 19^3 მუხლის პირველი პუნქტისა და ,,სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 ერთეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება განხორციელდეს საჯარო აუქციონის ფორმით.
2. 4 ერთეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასის, ,,ბე“–ს, სავაჭრო ბიჯისა და აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასების ოდენობები დადგინდეს დანართი №1 შესაბამისად.
3. დამტკიცდეს აუქციონის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №2 შესაბამისად.

4. აუქციონის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნას ვებგვერდზე www.eauction.ge და ადგილობრივ პრესაში.
5. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსს (ზურაბ ჩანტლაძე) საუქციონე ინფორმაციის გამოცხადების მომსახურების საფასურის ანაზღაურება.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*

დანართი №1

№	**ობიექტის დასახელება**	**მისამართი**	**მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ.)**	**საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)**	**„ბე" (ლარი)**	**„ბიჯი" (ლარი)**	**მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)**
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჩოხატაური, ლომთათიძის ქუჩა	297.00	3564	1070	360	20
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჩოხატაური, ლომთათიძის ქუჩა	411.00	4932	1500	500	20
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჩოხატაური, ლომთათიძის ქუჩა	411.00	4932	1500	500	20
4	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჩოხატაური, გურამიშვილის ქუჩა	445.00	5340	1600	500	20

დანართი №2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

№	ობიექტის დასახელება	მისამართი	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ.)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	„ბიჯი" (ლარი)	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჩოხატაური, ლომთათიძის ქუჩა	297.00	3564	1070	360	20	28.01.23.020
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჩოხატაური, ლომთათიძის ქუჩა	411.00	4932	1500	500	20	28.01.23.016
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჩოხატაური, ლომთათიძის ქუჩა	411.00	4932	1500	500	20	28.01.23.017
4	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჩოხატაური, გურამიშვილის ქუჩა	445.00	5340	1600	500	20	28.01.23.069

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს 2014 წლის 27 თებერვლიდან 2014 წლის 14 მარტის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 17 საათამდე (აუქციონის ჩატარების დღეს 10:00 საათიდან 13.00 საათამდე) აუქციონი ჩატარდება 2014 წლის 14 მარტს 15.00 საათზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. N-2).

აუქციონში მონაწილეობის მსურველი აუქციონის ორგანიზატორს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებულ განაცხადს;
2. „ბე'-ს და მონაწილის ბილეთის თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებს;

ფიზიკური პირები - პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ხოლო იურიდიული პირები – სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

3. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
4. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური თანხის გადახდა.

აუქციონში გამარჯვებულმა საბოლოო თანხა უნდა დაფაროს აუქციონის ჩატარების დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად დათქმულ ვადაში, უქმდება აუქციონის შედეგები და მის მიერ შეტანილი ,,ბე" უკან არ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში დამარცხებულს ,,ბე" უკან უბრუნდება.

,,ბე" შეტანილი უნდა იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიშზე:

ბანკის კოდი LBRGE22, ანგარიშის ნომერი GE11LB0120133210302000, საიდენტიფიკაციო კოდი 242008705;

აუქციონის მონაწილის ბილეთის თანხა შეტანილი უნდა იქნეს ანგარიშზე: 300653282;

საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამამზადებელ პირებთან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღირებულებას დამატებით იხდის აუქციონში გამარჯვებული პირი.

მსურველებს უფლება აქვთ ადგილზე გაეცნონ გასაყიდი ქონების მდგომარეობას.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ საუქციონო კომისიას მისამართზე: დ. ჩოხატაური, წერეთლის ქ. N-2, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა ტელ: **577 953118; 577 957030; 577 954390.**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა